

*პიროვნების კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის გარანტიები საქართველოს*

*კანონმდებლობის მიხედვით*

*(5 მარტი, 2010)*

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის II ნაწილი ადგენს საქართველოს მოქალაქის ჯანმრთელობის, ფინანსურ და კერძო საკითხების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის ზოგად პრინციპს. მითითებული მუხლის მიხედვით ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის (ინფორმაციის თავისუფლება) ტერმინათა განმარტებაში მოცემულია პერსონალურ მონაცემის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც პერსონალური მონაცემებში იგულისხმება საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. იმავე კოდექსის 27-ე პრიმა მუხლის მიხედვით პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

ფიზიკური პირის – როგორც პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის არაპირდაპირ განმარტებას იძლევა საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.“ აღნიშნულ კანონში სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო განმარტებულია როგორც - ექიმის და სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტის ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის, მისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ მიღებული ინფორმაცია; აღნიშნული მოიცავს ექიმისათვის მიმართვის ფაქტსაც, აგრეთვე, სიკვდილის გარემოებებს; წარმოდგენილი დებულება გარკვეულწილად განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ფარგლებს, რომელიც ჯანმრთელობის დაზღვევის მქონე დაზღვეულის შემთხვევაში შეიძლება ჩათვლილი იქნეს როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია. იმავე კანონის 42-ე მუხლის მიხედვით მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი მოვალეა, დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოების დადგენილი წესით მოთხოვნისამებრ. ამ საკითხთან მიმართებაში ასევე გასთვალისწინებულია „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი, რომლის

თანახმადაც ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას მანვე უნდა დაასახელოს ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. გადაწყვეტილება და პირის ვინაობა ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში.

საექიმო საქმიანობის სუბიექტის ვალდებულებას ითვალისწინებს ასევე „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის (ინფორმაციის კონფიდენციალობა), რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაიცვას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა როგორც საექიმო საქმიანობის განხორციელებისას, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ, როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ. იმავე ნორმის მიხედვით დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს გაამჟღავნოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ: ა) პაციენტი აძლევს ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას; ბ) ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს; გ) თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ დაავადებაზე; დ) ინფორმაცია მიეწოდება სამედიცინო მომსახურების მონაწილე სხვა სამედიცინო პერსონალს; ე) ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისათვის; ვ) ინფორმაციის გამჟღავნებას, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოითხოვენ სამართალდამცველი ორგანოები; ზ) ინფორმაცია მიეწოდება სახელმწიფო ორგანოებს პაციენტისათვის სოციალური შეღავათების დაწესების მიზნით. ამ შემთხვევაში აუცილებელია ინფორმაციის გამჟღავნებაზე პაციენტის თანხმობა; თ) სასწავლო-სამეცნიერო მიზნით ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია.

ფიზიკური პირის - როგორც დაზღვეულის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას ითვალისწინებს საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ.“ აღნიშნული კანონი საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას აკისრებს სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმხორციელებელ ორგანოს – ეროვნული ბანკის თანამშრომლებს. დაზღვევის შესახებ კანონის 29-ე მუხლის თანახმად ეროვნული ბანკის თანამშრომელს უფლება არა აქვს, ამა თუ იმ ფორმით გასცეს მონაცემები, რომლებიც მიეკუთვნება მზღვეველის კომერციულ საიდუმლოებას, აგრეთვე დამზღვევის, დაზღვეულისა და მოსარგებლის შესახებ მონაცემები, რომლებიც მიეკუთვნება დაზღვევის საიდუმლოებას, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, მიმდინარე პერიოდში უჭირავს თუ არა ამ პირს ზემოთ აღნიშნული თანამდებობა. მიუხედავად იმასა, რომ წარმოდგენილ ნორმაში

ნახსენებია ტერმინი „დაზღვევის საიდუმლოება“, საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიძებნება განმარტება თუ რა შეიძლება ჩათვლილ იქნეს მონაცემებად, რომლებიც მიეკუთვნება დაზღვევის საიდუმლოებას.

2009 წლის 15 მაისს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ დამტკიცებული იქნა „მზღვეველის საქმიანობის აღრიცხვის წესი.“ მითითებული წესით მზღვეველები ვალდებული არიან აწარმოონ აღრიცხვა ინფორმაციისა სადაზღვევო პოლისისა და სადაზღვევო ზარალების შესახებ. დამტკიცებული წესის მიხედვით სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებით მზღვეველის მიერ წარმოებული მონაცემთა ბაზა უნდა შეიცავდეს თითოეული დაზღვევის ხელშეკრულების/სადაზღვევო მოწმობის (პოლისის) შესახებ გარკვეულ ინფორმაციას მათ შორის დამზღვევი ფიზიკური პირის შემთხვევაში: გვარი, სახელი, საკონტაქტო მონაცემები, პირადი ნომერი პირადობის მოწმობის მიხედვით, რეგისტრაციის ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში: სრული სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იურიდიული მისამართი, ადგილსამყოფელი, საკონტაქტო მონაცემები, რეგისტრაციის ადგილი (ქალაქი და/ან რეგიონი); სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევის განხორციელებისას დამატებით აღრიცხულ უნდა იქნას: ა) სიცოცხლის დაზღვევისას დაზღვეულის დაბადების თარიღი, სქესი, მისამართი, სამუშაო ადგილი. ასევე ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ამ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში); ა.ბ) დამზღვევზე გაცემული სესხები; ა.გ) დამზღვევის მონაწილეობა საინვესტიციო მოგებაში. ბ) საპენსიო დაზღვევისას საპენსიო სქემაში მონაწილის დაბადების თარიღი, სქესი, მისამართი, სამუშაო ადგილი; ბ.ბ) საპენსიო შენატანების, დანაგროვების, საინვესტიციო მოგების, საპენსიო ვალდებულებების და გაცემული პენსიების ოდენობა; ბ.გ) თითოეული საპენსიო სქემის მიხედვით ინვესტირების შედეგად მიღებული მოგება. აღნიშნული წესი ასევე ითვალისწინებს სადაზღვევო შემთხვევათა (ზარალების) მონაცემთა ბაზის წარმოების ვალდებულებას.

წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებულ იმ ინფორმაციათა წრე, რომელიც ფიზიკური პირის შემთხვევაში წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. თუმცა მიუხედავად ამისა, ზოგადი პრინციპის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური პირის კონფიდენციალურ ინფორმაციაში ნებისმიერ შემთხვევაში იგულისხმება მონაცემები ფიზიკური პირის (პაციენტის/დაზღვეულის) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.